თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 5 მარტის
მორიგი სხდომის
ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 05 მარტი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალ ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. შალვა ჭანკვეტაძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. დავით გოგბერაშვილი, 16.ლაშა გურგენიძე, 17. ომარი ჯიხვაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 29. რამინი რობაქიძე, 20. თამარი ახვლედიანი, 21. ფრიდონი გვენეტაძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. მერაბი ბასილაძე, 25. ტარიელ ფანჩულიძე, 26. როლანდი მესხი, 27. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. კობა კირკიტაძე, 3. რუსუდან კოვზირიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

ა(ა)იპ დემოკრატიის სასწავლო ცენტრის დირექტორი ალექსანდრე ბუცხრიკიძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{50}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282506350 წერილი, 24.02.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282504868 წერილი, 17.02.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. 2025 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28250621 წერილი, 03.03.2025 წ);

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282505971 წერილი, 28.02.2025 წ);

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N გ-29-292501512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282505747 წერილი, 26.02.2025 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცები ს შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28250574 წერილი, 26.02.2025 წ);

/მომხს: შ.ჭანკვეტაძე/

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -27, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 180.00 ათასი ლარით და შეადგენს 31792.6 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1800.0 ათასი ლარით. გრანტი (ფინანსური დახმარება 1500.0 ათასი ლარი და სტიქია 300.0 ათასი ლარი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1800.0 ლარით. მ/შორის:

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 300.0 ათასი ლარით.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 300.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 720.0 ათასი ლარით.

სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 125.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 39.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 95.0 ათასი ლარით.

მუზეუმების დაფინანასება გაიზარდა 21.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბ/ნ კახა ბუცხრიკიძე - ფრაქცია „ახლები" მხარს არ უჭერს ბიუჯეტის ცვლილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი -9

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №4, 05.03.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზრდება - 157.0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 29992.6 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 157.0 ათასი ლარით გრანტი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ)

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 157.0 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო 2025 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულების საფუძველზე, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მ/წლის 10 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს 2025 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29250642, 05.03.2025 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -25, წინააღმდეგი - 2

დამტკიცდეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29250643, 05.03.2025 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N გ-29-292501512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - 2025 წლის 15 იანვარს საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 12 000 ის ჩათვლით) ბავშვთა (2-7 წლამდე) ადრეული განვითარების ხელშეწყობას/ დაფინანსებას. აღნიშნული კრიტერიუმი საჭიროებს ცვლილებას შემდეგი გარემოების გამო:
მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით, მომართა განვითარების ზოგადი აშლილობის დიაგნოზის მქონე მოქალაქეებმა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს. შესაბამისად ჩვენს მიერ წარმოდგენილი ცვლილებით შესაძლებელი გახდება პროგრამით ისარგებლონ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2-16 წლამდე ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სოციალური მუშაკის სკრინინგის ფორმის ან/და ბავშვისა და ოჯახის შეფასების და დასკვნის მიხედვით და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 200 001 ქულამდეა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N გ-29-292501512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.2925064001, 05.03.2025 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შე სახებ დადგენილების პროექტი -მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისების პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.

პროგრამის ამოცანაა პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, სამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 5, 05.03.2025 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება № გ-29.29250644, 05.03.2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 05 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი